34

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №EU/ST/15

ქ. თბილისი 24 თებერვალი, 2011 წელი

ერთის მხრივ: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართი: ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. №23/2, საიდენტიფიკაციო კოდი 211327580, საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა“, ბ/კ REPLGE22, ა/ა GE64 BR00 0001 0080 2263 66) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ: ი/მ „ნინო გაბუნია“ (მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 16, საიდენტიფიკაციო კოდი 01008012274, საბანკო რეკვიზიტები სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ვაკის ფილიალი, ა/ა 1636010100001) (შემდგომში „მიმწოდებელი“).

თანხმდებიან შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში ახორციელებს ზეპირსიტყვიერი (სინქრონული) მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვას.

2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ზეპირსიტყვიერი (სინქრონული) მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა 2011 წლის 24 თებერვალს, კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებისა და პროტოკოლების შემუშავების საპილოტო პროექტის დახურვის შემაჯამებელ კონფერენციაზე (ინგლისურ-ქართულ და ქართულ-ინგლისურ ენაზე), საერთო თანხაზე, 525.00 (ხუთასოცდახუთი) ლარი. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2 ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადს.

2.3 შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 ივნისის წერილი №21-15-14040/01 საფუძველზე 2.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

3.2 მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა გაწეული მომსახურების ღირებულების მოთხოვნის საფუძველს.

4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4 შემსრულებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად, მაღალი კვალიფიციურობით და სათანადო გულისხმიერებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.

4.5 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

5 ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით, ეროვნულ ვალუტა ლარში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7 მომსახურების მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 15 მარტამდე.

7.2 მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 24 თებერვალი.

8 ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა დაუძლეველი ძალის ზემოქმედება, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხეშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად და მის დასრულებისას განახორციელოს ინსპექტირება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

11.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ევროკავშირის პროექტის მენეჯერი ნატო გორდეზიანი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

11 სხვა პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან

თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველის“ სახელით	„მიმწოდებელის“ სახელით
სსიპ *„საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“*	ინდ. მეწარმე *„ნინო გაბუნია“*
მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი საიდ. კოდი 211327580 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ REPLGE22, ს/ა GE64 BR00 0001 0080 2263 66	მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 16, საიდ. კოდი 01008012274, საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ვაკის ფილიალი, ს/ა 1636010100001
ივანე ყაჭიური აღმასრულებელი დირექტორი	ნინო გაბუნია
ბ. ა.	ბ.ა.